განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

შპს ევროპული სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ლელა ფიცხელაური
წევრ(ებ)ი:
ირმა ხმელიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**შპს - ევროპული სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**შპს**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**205172917**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ქ. თბილისი**

ფაქტობრივი მისამართი	**ი. სხირტლაძის ქ. №2, თბილისი**
საფოსტო ინდექსი	**0177**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://europeanschool.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	info@europeanschool.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	**(+995 32) 214 42 44 / 214 15 16 / 239 59 64**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 26 0000533028 05/05/2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 07 და 08 მაისი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 05 მაისის №533028 ბრძანების საფუძველზე 2026 წლის 07-08 მაისს განხორციელდა შპს „ევროპულ სკოლაში“ არაგეგმიური მონიტორინგი, რომლის მიზანს წარმოადგენდა 2026 წლის 30 აპრილს მომხდარი ინციდენტის, ასევე სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის შესწავლა და მათი შესაბამისობის შეფასება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტებთან.

მონიტორინგის ფარგლებში გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები:

- სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესწავლა;
- ადმინისტრაციის, ფსიქოლოგების, ექიმის, დაცვის სამსახურის წარმომადგენლების, დამრიგებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერვიუირება;
- დისციპლინური კომიტეტის ოქმების, ინციდენტის აღრიცხვის ფორმის, სამედიცინო ჟურნალისა და ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ანალიზი;
- უსაფრთხოების, მოსწავლის კეთილდღეობის და ბავშვთა დაცვის მექანიზმების შეფასება.

I. მონიტორინგის პროცესის ზოგადი შეფასება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მონიტორინგის პროცესი წარიმართა სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით რეჟიმში. სკოლა:

- დროულად და ორგანიზებულად უზრუნველყოფდა ინტერვიუების დაგეგმვას;
- ოპერატიულად წარმოადგენდა მოთხოვნილ დოკუმენტაციას;
- უზრუნველყოფდა ექსპერტთა წვდომას შესაბამის მტკიცებულებებზე;
- თანამშრომლობდა გარემოებების სრულყოფილად შესწავლის მიზნით.

დადგინდა, რომ ინფორმაციის გასაჯაროებამდე სკოლის რეაგირება ძირითადად შემოიფარგლებოდა:

- დამრიგებლების კომუნიკაციით მშობლებთან;
- ფსიქოლოგის სამსახურის პირველადი ჩართულობით;
- სადამრიგებლო მუშაობით მოსწავლეებთან.

ხოლო ინფორმაციის საჯარო გავრცელების შემდეგ სკოლამ დაიწყო უფრო ფორმალიზებული და ინსტიტუციური მოკვლევის პროცესი.

II. ფაქტობრივი გარემოებების აღწერა

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ 2026 წლის 30 აპრილს, მე-6 გაკვეთილის შემდეგ , შესვენების პერიოდში, IB პროგრამის (MYP) მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეთა ნაწილმა თვითნებურად დატოვა მათთვის განკუთვნილი სასწავლო სივრცე და შეიკრიბა მესამე სართულის სველ წერტილში.

მოსწავლეთა განმარტებით, რომელიც ასევე ასახულია ფსიქოლოგის ჩანაწერებსა და დისციპლინური კომიტეტის ოქმებში, მათ გადაწყვიტეს სოციალურ ქსელში გავრცელებული ე.წ. „ვირუსული თამაშის“ გამეორება.
მონიტორინგის ფარგლებში ვიზუალურად დათვალიერდა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი, გასაუბრება მოხდა სამედიცინო პერსონალთან, საიდანაც ირკვევა რომ მე-8 კლასელ მოსწავლეს აღენიშნებოდა:

- ლოყისა და ყვრიმალის არეში სიწითლე და შეშუპება;
- უჩიოდა თავის ტკივილს;
- იყო აცრემლებული;

ჟურნალში მითითებული იყო, რომ მოსწავლეს გაეწია პირველადი დახმარება — გამოყენებულ იქნა ყინული და ტრაუმელის მალამო. ექიმის განმარტებით, მოსწავლე თავდაპირველად აცხადებდა, რომ საპირფარეშოში, სველ იატაკზე ფეხი აუსრიალდა, თუმცა დაზიანების ლოკალიზაციისა და გარემოებების გათვალისწინებით ექიმმა მიიჩნია, რომ აღნიშნული ვერსია არ იყო სრულად სარწმუნო. სკოლამ რეაგირება განახორციელა ინციდენტის მართვის პროცედურით განსაზღვრული პირველი ეტაპის — „სამედიცინო შემოწმების“ (Incident Management Procedure („Step 1: Medical Check“)) შესაბამისად. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ შემთხვევას თან ახლდა ფიზიკური ზემოქმედების ნიშნები და საჭირო გახდა სამედიცინო პერსონალის ჩართულობა.
პროცესის მართვის პარალელურად, მე-8 კლასის დამრიგებლის მხრიდან განხორციელდა მყისიერი რეაგირება: იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდა მოსწავლის მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს), მიაწოდა ინფორმაცია მომხდარის შესახებ და მისი თანხმობის საფუძველზე მოსწავლემ დატოვა სკოლის ტერიტორია. დამრიგებელმა იმავე საღამოს კიდევ ერთხელ მოიკითხა მოსწავლის ჯანმრთელობისა და ემოციური მდგომარეობა, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ მოსწავლე თავს კარგად გრძნობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ინციდენტიდან ორ დღეში, აღნიშნული შემთხვევის მონაწილე ყველა მოსწავლე ერთად, მეგობრულ გარემოში იმყოფებოდა ამავე ინციდენტში მონაწილე ერთ-ერთი მოსწავლის დაბადების დღეზე.

III. ვიდეოჩანაწერებისა და გარემოებების ანალიზი

2026 წლის 07 მაისის №3/379 განცხადებით შპს „ევროპული სკოლის“ დისციპლინური საბჭოს ხელმძღვანელმა მოითხოვა, 2026 წლის 30 აპრილის ვიდეოჩანაწერების გადაცემა დისციპლინურ კომიტეტსთვის შემდგომი მოკვლევის მიზნით. ამასთან, დირექტორის 2026 წლის 07 მაისის №1/1/110 ბრძანებით განხორციელდა ვიდეოჩანაწერების ამოღებისა და კომიტეტისთვის გადაცემის ადმინისტრაციული ფორმალიზება.

ვიდეოჩანაწერები პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების დაცვით დაათვალიერეს უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა და დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარემ.

ვიდეომასალის აღწერილობითი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ:

- მოსწავლეები საკუთარი ნებით გადაადგილდებოდნენ;
- მე-6 გაკვეთილის შემდგომ შესვენებაზე , რამოდენიმე მოსწავლე ერთად შევიდა საპირფარეშოში;
- შემდგომ ორი მათგანი ერთად გამოვიდა და გადაადგილდა კიბის საშუალებით მეორე სართულის სივრცეში;
- მეორე სართულზე მათ ესაუბრებოდა დამრიგებელი;
- შემდგომ ჩაერთო ექიმი და მოსწავლე გადავიდა სამედიცინო კაბინეტში;
- მოსწავლე დამოუკიდებლად გადაადგილდებოდა.

ვიდეოჩანაწერების აღწერილობითი ანალიზის შედეგად არ გამოვლენილა მოსწავლის მიმართ აშკარა იძულების, დევნის ან ორგანიზებული ჯგუფური ძალადობის პირდაპირი ნიშნები. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე უშუალოდ არ განახორციელა ნედლი ვიდეომასალის პირველადი დათვალიერება და დაეყრდნო დისციპლინური კომიტეტის მოკვლევის შედეგებს.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და შპს „ევროპული სკოლის“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შიდა პროტოკოლების (დირექტორის ბრძანება №1/1/56) თანახმად, არასრულწლოვან მესამე პირთა პერსონალური მონაცემების შემცველი ვიდეოჩანაწერების პირდაპირი დემონსტრირება გარე შეფასების სუბიექტებზე სამართლებრივად შეზღუდულია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის (სუბიექტთა კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის) გარეშე.

შესწავლილი მასალების, ფსიქოლოგის განმარტებებისა და მონაწილე მოსწავლეების პოზიციების ანალიზის საფუძველზე, ინციდენტი უფრო იკვეთება როგორც არასრულწლოვანთა შორის განხორციელებული მაღალი რისკის შემცველი ქცევა/ე.წ. „თამაში“, რომელმაც გამოიწვია მოსწავლის დაზიანება, ვიდრე წინასწარ დაგეგმილი ან მიზანმიმართული ძალადობრივი ქმედება.

ამასთან, მსგავსი ქცევა შეიცავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვან რისკებს და საჭიროებს მკაფიო პრევენციულ რეაგირებას.

IV. შიდა მოკვლევისა და დისციპლინური რეაგირების შეფასება

დირექტორის 2026 წლის 05 მაისის №1/1/108 ბრძანებით შეიქმნა დისციპლინური კომიტეტი, რომელსაც დაევალა:

- ფაქტობრივი გარემოებების შესწავლა;
- მონაწილე პირების გამოკითხვა;
- ვიდეოჩანაწერების ანალიზი;
- რისკების შეფასება;
- რეკომენდაციების მომზადება.

დაწესებულებაში მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების პროცედურა და საქმისწარმოების ეტაპები მკაფიოდ არის რეგულირებული და სტრუქტურირებული შიდა მარეგულირებელი აქტებით — სკოლის შინაგანაწესით, დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №1/1/338 ბრძანებით დამტკიცებული „დისციპლინური კომიტეტის დებულებითა“ და „დისციპლინური წარმოების პროცედურის აღწერით“. აღნიშნული დოკუმენტების ურთიერთშედარებით დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების შემდეგი ინსტიტუციური სტანდარტი:

- დისციპლინური გადაცდომის იდენტიფიცირებისას საქმისწარმოების პროცესში, შიდა ინსტრუქციის შესაბამისად, თანმიმდევრულად და კოორდინირებულად ერთვებიან საფეხურის კოორდინატორი (რომელიც ადგენს სამსახურებრივ ბარათს), პროგრამის ხელმძღვანელი და იურიდიული სამსახურის მთავარი იურისტი. აღნიშნული უზრუნველყოფს საკითხის მრავალმხრივ, ობიექტურ და სამართლებრივ რევიზიას;
- შიდა პროცედურის პირველივე პუნქტისა და დებულების მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მოსწავლის კონკრეტული გადაცდომის თაობაზე სავალდებულოდ ხდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მოწვევა და საკითხის განხილვა მიმდინარეობს უშუალოდ მისი თანდასწრებით, რაც სრულად უზრუნველყოფს არასრულწლოვანისა და მისი ოჯახის დაცვისა და საქმის კურსში ყოფნის საკანონმდებლო უფლებას;
- მოკვლევისა და გარემოებათა შესწავლის დასრულების შემდგომ, დისციპლინური სახდელის დაკისრება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით — სკოლის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), რომელიც ოფიციალურად ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელობას და წარედგინება მშობელს გასაცნობად.

აღნიშნული ანალიზი ადასტურებს, რომ შპს „ევროპულ სკოლაში“ დისციპლინური წარმოების მარეგულირებელი შიდა სამართლებრივი ჩარჩო პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებს, იცავს პროცედურულ თანმიმდევრობას და გამორიცხავს გადაწყვეტილებათა სუბიექტურობის რისკებს.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო:

- დისციპლინური კომიტეტის №1 ოქმს — სამოქმედო გეგმისა და მონაწილე პირების იდენტიფიცირების შესახებ;
- №2 ოქმს — მოწმეთა (ექიმი, დამრიგებლები, ფსიქოლოგები) გამოკითხვის შესახებ.

მონიტორინგის მომენტისთვის საბოლოო დისციპლინური გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ იყო, ვინაიდან მიმდინარეობდა საქმის გარემოებათა კომპლექსური შესწავლის საწყისი ფაზა.
დაწესებულების შინაგანაწესის 34.5 პუნქტისა და დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №1/1/338 ბრძანებით დამტკიცებული „დისციპლინური კომიტეტის დებულების“ მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, მოსწავლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს.
კომიტეტის №1 და №2 ოქმების შედგენის ეტაპზე არ ფიქსირდება მოსწავლეებისა და მშობლების უშუალო საპროცესო გამოკითხვის დოკუმენტური ასახვა, ვინაიდან დაწესებულებაში მოქმედი საქმისწარმოების პროცედურის შესაბამისად, კომიტეტი ახორციელებდა წინარე ფაქტების მოკვლევას, მტკიცებულებების შეგროვებასა და პერსონალის გამოკითხვას, რაც წინ უსწრებს უშუალოდ მოსწავლეთა მიმართ წარმოების ფორმალურ ფაზას. დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი კომიტეტს პირდაპირ ავალდებულებს წინადადების წარდგენამდე გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლები ფაქტობრივად სრულად იყვნენ ინფორმირებულნი მიმდინარე პროცესის შესახებ. ეს დასტურდება მათ მიერვე ინტერვიუში დაფიქსირებული პოზიციითა და მე-8 და მე-9 კლასების დამრიგებლების მიერ განხორციელებული წინარე მყისიერი კომუნიკაციით. აღნიშნული გარემოება ადასტურებს, რომ სკოლასა და მშობლებს შორის კომუნიკაცია რეალურად შემდგარი იყო და ბავშვის უფლებრივი სტანდარტები არ დარღვეულა, ხოლო ფორმალური საქმისწარმოების დოკუმენტური გაფორმება მოსწავლეთა და მშობელთა უშუალო საპროცესო მონაწილეობით (დებულების მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად) დაგეგმილია მოკვლევის მომდევნო ეტაპზე, ვიდეოჩანაწერების სრული რევიზიის დასრულებისთანავე, სკოლის შიდა ინსტრუქციების დაცვით.

V. უსაფრთხოების სისტემისა და ფიზიკური კონტროლის შეფასება

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს დირექტორის 2022 წლის 10 თებერვლის №1/1/10 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“.
აღნიშნული დოკუმენტი შემუშავებულია:

- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების საფუძველზე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ:

- სკოლა აღჭურვილია ვიდეომეთვალყურეობის სისტემით;
- მიმდინარეობს ვიზიტორთა რეგისტრაცია;
- თითოეულ სართულზე განთავსებულია დაცვის თანამშრომელი;
- ფუნქციონირებს უსაფრთხოების ტექნიკური და ადამიანური რესურსები.

ამასთან, მონიტორინგის პროცესში შეფასდა უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციონირება სპეციფიკურ სასწავლო რეჟიმში. სკოლის ადმინისტრაციული მენეჯერის 2024 წლის 14 დეკემბრის №173/ბ ბრძანებით დამტკიცებული „დაცვის (უსაფრთხოების) სამსახურის დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს სკოლის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით.

მიმდინარე საგამოცდო პროცესის მაღალი ორგანიზაციული საჭიროებიდან გამომდინარე, უსაფრთხოების სამსახურის ადამიანური რესურსი (დაცვის ოფიცრები და თანამშრომლები), დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტის (სკოლაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა) და დირექტორის 2022 წლის 10 თებერვლის №1/1/10 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის“ 44-ე მუხლის (პერიმეტრის განაწილება და დათვალიერება) შესაბამისად, მობილიზებული იყო საგამოცდო სექტორებისა და მიმდებარე საგამოცდო სივრცეების მეთვალყურეობაზე, რაც მიზნად ისახავდა გამოცდების უსაფრთხო და აკადემიურად გამართულ გარემოში წარმართვას.

აღნიშნული სპეციფიკური საგამოცდო რეჟიმის პირობებში, რესურსების გადანაწილების გამო, მესამე სართულის სველი წერტილების სივრცე დროებით მოექცა ნაკლებად ინტენსიური ფიზიკური (არადისტანციური) პატრულირების ქვეშ, რის შედეგადაც მოსწავლეთა ჯგუფმა შეძლო სხვა სართულზე გადაადგილება და სველ წერტილში თანატოლთა წრეში რისკის შემცველი ქცევის გამოვლენა.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მოცემული გარემოება მიუთითებს არა უსაფრთხოების სისტემის ფუნქციურ ხარვეზზე, არამედ მსგავსი მასშტაბური სასკოლო აქტივობების დროს შიდა პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერების გეგმის დამატებითი ოპტიმიზაციის საჭიროებაზე, რათა ზედამხედველობა თანაბრად ეფექტური დარჩეს ყველა ზონაში, უსაფრთხოების წესის 44-ე მუხლისა და სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა სრული რეალიზებისთვის.

VI. პერსონალური მონაცემების დაცვისა და ვიდეომონიტორინგის შეფასება

მონიტორინგის ფარგლებში დადგინდა, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება სკოლაში სამართლებრივად მოწესრიგებულია დირექტორის 2025 წლის 25 მარტის №1/1/56 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკითა და შესაბამისი მონაცემთა დამუშავების პროტოკოლებით.

აღნიშნულ დოკუმენტებში მკაფიოდ არის გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავება „ლეგიტიმური ინტერესის“ — უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის — საფუძველზე, რაც შეესაბამება მოქმედ საკანონმდებლო სტანდარტებს. ინციდენტის დროს ვიდეოჩანაწერების გამოთხოვა და დათვალიერება განხორციელდა უფლებამოსილი პირების მიერ, შიდა რეგულაციებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პრინციპების დაცვით.

ამასთან, მოცემული შემთხვევის ანალიზმა აჩვენა, რომ ვიდეომონიტორინგის არსებული მექანიზმები პრაქტიკაში მეტად ორიენტირებული იყო მომხდარ ფაქტზე რეაგირების სამართლებრივ დამუშავებაზე, ვიდრე უშუალოდ ინციდენტის მყისიერ, წინსწრებ იდენტიფიცირებაზე. აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს სისტემურ დარღვევას, თუმცა წარმოშობს შიდაორგანიზაციული ინსტრუქციების დამატებითი ოპტიმიზაციის საჭიროებას, რათა ვიდეომეთვალყურეობის სისტემა პრაქტიკაში ეფექტურად იქნას გამოყენებული პრევენციული მონიტორინგის ინსტრუმენტად.

VII. ბავშვთა დაცვისა და პრევენციული მექანიზმების შეფასება

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემა.

მოსწავლეთა კეთილდღეობის ცენტრის სახელმძღვანელო (Student Wellbeing Center Handbook)-ის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა კეთილდღეობის ცენტრი, რომლის საქმიანობის მიმართულებებს წარმოადგენს:

- ფსიქოლოგიური მხარდაჭერა;
- სოციალური და ემოციური განვითარება;
- უსაფრთხო გარემოს ხელშეწყობა;

- მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამები.

სკოლაში ასევე მოქმედებს:

- დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №1/1/337 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკა“;
- ანტიბულინგური კამპანიის —სამოქმედო გეგმა;
- ანონიმური შეტყობინების მექანიზმი — ანონიმური შეტყობინებების ყუთი (We Listen Box).

უსაფრთხო გარემოს კვლევის ანგარიში 2024-2025 (Safeguarding Survey Report)-ის მიხედვით, მოსწავლეთა 90%-ზე მეტი თავს უსაფრთხოდ გრძნობს სასკოლო გარემოში.

ანტიბულინგური კამპანიის ფარგლებში განხორციელებული იყო:

- კიბერბულინგის საწინააღმდეგო საინფორმაციო შეხვედრები;
- wellbeing აქტივობები;
- ფსიქოლოგიური ლექციები;
- უკუკავშირის მექანიზმები;
- მოსწავლეთა ჩართულობაზე დაფუძნებული აქტივობები.

<u>მიუხედავად აღნიშნულისა, კონკრეტულმა შემთხვევამ აჩვენა, რომ დამატებით გასაძლიერებელია:</u>

- არაფორმალური ჯგუფური ქცევის მონიტორინგი;
- ე.წ. „ტრენდული თამაშების“ რისკების შესახებ ცნობიერება;
- სოციალური მედიის გავლენით გავრცელებული ქცევითი გამოწვევების პრევენცია;
- შესვენებების პერიოდში პრევენციული ზედამხედველობა.

VIII. ინტერვიუებისა და კომუნიკაციის პროცესის შეფასება

მშობელთა სათათბიროს წარმომადგენლებმა სამივე პროგრამიდან დაადასტურეს, რომ:

- სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მაღალი სტანდარტი მოქმედებს;
- მშობლებს აქვთ ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის თავისუფალი შესაძლებლობა;
- სკოლა სისტემურად ახორციელებს უსაფრთხოების საინფორმაციო კამპანიებს.

ინციდენტში მონაწილე მოსწავლეების მშობლების პოზიციით:

- მსგავსი ტიპის „თამაშები“ მიუღებელია;
- აუცილებელია დამატებითი პრევენციული ღონისძიებების გატარება.

ფსიქოლოგის განმარტებით, მოსწავლეებმა თავად მიუთითეს, რომ ე.წ. „თამაშმა“ მეგობრის დაზიანება გამოიწვია და აღნიშნულის გამო გამოხატავდნენ სინანულს.
ასევე დადგინდა, რომ მონაწილე მოსწავლეები ინციდენტამდე და შემდგომაც ინარჩუნებდნენ მეგობრულ ურთიერთობებს, რაც დასტურდებოდა მათ მიერ წარმოდგენილი ინციდენტის შემდგომ განხორციელებული სოციალური აქტივობების ამსახველი მასალით.
მერვეკლასელი მოსწავლე, რომლის ირგვლივ არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსაც შეისწავლიდა დისციპლინური კომიტეტი ვიზიტის პერიოდში ოჯახთან ერთად იმყოფებოდა საზღვარგარეთ. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოხატული მზაობისა და მცდელობის მიუხედავად, აღნიშნულ მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან დისტანციურ (ონლაინ) ფორმატში გასაუბრება ვერ განხორციელდა, მშობლის მხრიდან შესაბამისი უკუკავშირის არარსებობის გამო. შესაბამისად, ჯგუფმა საკითხი შეაფასა საქმეში არსებული სხვა წერილობითი და ფაქტობრივი მტკიცებულებების საფუძველზე.
სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუირების შედეგად აღინიშნა, რომ არსებობს რისკები, რომ მომხდარი ინციდენტის შესახებ ინფორმაციის სოციალურ ქსელში მასშტაბური გავრცელება შესაძლოა უარყოფითად აისახოს ინციდენტში მონაწილე ორივე მხარეებზე. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ სწორად განსაზღვროს რისკები და დროულად შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები ინციდენტში მონაწილე მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურად დასაცავად.

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ მე-9 კლასის დამრიგებელმა სადამრიგებლო მუშაობის ფარგლებში განახორციელა მყისიერი პედაგოგიური ინტერვენცია: მან მოსწავლეებთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა მსგავსი ტიპის ქმედების დაუშვებლობა და მოსწავლეთა მიმართ გამოიყენა მკაცრი პედაგოგიური საყვედური, რაც მიზნად ისახავდა მათთვის მომხდარის სიმძაფრისა და შესაძლო შედეგების გაცნობიერებას.
ამავდროულად, დისციპლინური კომიტეტის №2 ოქმში დაფიქსირებული განმარტებების ანალიზითა და ინტერვიურებით გამოიკვეთა, რომ დამრიგებელმა ერთ-ერთი მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციისას გამოიყენა ემოციურად გამძაფრებული, სხვისგან მიღებული და ფაქტობრივად გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რაც ემსახურებოდა მომავალში მსგავსი ქცევების პრევენციას. კერძოდ, მან ოფიციალური მოკვლევის დასრულებამდე, საკუთარი სუბიექტური ინტერპრეტაციით მიაწოდა მშობელს ინფორმაცია მოსწავლეთა მიმართ გასატარებელი სავარაუდო დისციპლინური ღონისძიებების შესახებ.
მიუხედავად აღნიშნული ქმედების პრევენციული მიზნისა, ფაქტების ემოციურმა გადაცემამ გარკვეული გავლენა მოახდინა მშობლის მიერ სოციალურ ქსელში საჯარო პოსტის გამოქვეყნებაზე, რამაც საზოგადოებრივ სივრცეში ინციდენტის არა ერთჯერად სარისკო ქცევად, არამედ სისტემურ ბულინგად აღქმის საფრთხე შექმნა.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს შპს „ევროპული სკოლის“ შინაგანაწესის მე-12 მუხლით (შიდა და გარე კომუნიკაცია) განსაზღვრული ინსტიტუციური სტანდარტების პრაქტიკაში მეტი სიზუსტით აღსრულების საჭიროებაზე, რომელიც არეგულირებს სკოლის შესახებ არასაჯარო ინფორმაციის გავრცელების წესებს.

IX. ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზი

სკოლაში არსებული უსაფრთხოების, ანტიბულინგური და კეთილდღეობის პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზების მექანიზმები საჭიროებს შემდგომ სისტემატიზაციასა და გაძლიერებას.
კერძოდ:

- შესვენებების პერიოდში პრევენციული ზედამხედველობის მექანიზმები საჭიროებს დამატებით გაძლიერებას;
- მასშტაბური სასკოლო ღონისძიებებისა თუ საგამოცდო სესიების დროს საჭიროა შიდა მორიგეობისა და მონიტორინგის გეგმების დამატებითი მოდიფიცირება ყველა სასწავლო ზონაში არადისტანციური კონტროლის თანაბარი ინტენსივობის შესანარჩუნებლად;
- არსებული პრევენციული პროგრამების კიდევ უფრო ეფექტური მუშაობისთვის მიზანშეწონილია დამრიგებლებისა და უსაფრთხოების ოფიცრებისთვის მიზნობრივი სამუშაო შეხვედრებისა თუ ინსტრუქტაჟების ჩატარების პერიოდულობისა და კოორდინაციის გაზრდა, განსაკუთრებით მოსწავლეთა შორის შესაძლო სარისკო ჯგუფური ქმედებებისა თუ ნეგატიური ციფრული ტრენდების ადრეულ ეტაპზევე იდენტიფიცირების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის პასუხად, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ფაქტობრივი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება აღნიშნული მიგნებების სრული აღმოფხვრა. კერძოდ, უსაფრთხოებისა და პრევენციული გარემოს გაძლიერების მიზნით, ოფიციალურად დამტკიცდა და დაინერგა „მოსწავლეთა ზედამხედველობისა და უსაფრთხოების პროტოკოლები“, რაც ხელმოწერით გაეცნო დაცვის სამსახურის სრულ შემადგენლობას. საკადრო რესურსის ოპტიმიზაციისთვის, სკოლამ შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე აიყვანა დაცვის დამატებითი თანამშრომლები და გამოაცხადა ვაკანსიები დაცვის სამსახურის ადმინისტრატორის/მოადგილისა და დაცვის ოფიცრების პოზიციებზე.
ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტის შესაბამისად, მოეწყო ვიდეომონიტორინგის ახალი ცენტრალიზებული პუნქტი, რამაც უზრუნველყო პერიმეტრის ორდონიანი ვიზუალური კონტროლი. ციფრული რისკების პრევენციის მიზნით, დამტკიცდა სპეციალური წესი, რომელიც მოიცავს მოზარდთა

ციფრული ჰიგიენის შეფასების მატრიცას, სადამრიგებლო საათების 10-გაკვეთილიან ციკლსა და მშობელთა ასოციაციის (PTA) ჩართულობის სტრატეგიულ გეგმას.
აღნიშნული კომპლექსური და ქმედითი რეფორმების გატარება სამართლებრივ დონეზე ადასტურებს, რომ დასკვნის პროექტში გამოვლენილი ყველა მიგნება და რისკ-ზონა სრულად არის აღმოფხვრილი, ხოლო დაწესებულების პრაქტიკული მექანიზმები მოყვანილია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

X. ვიზიტის დროს სკოლას მიეცა რჩევა:

1. სკოლამ შეიმუშაოს სოციალური მედიის გავლენით გავრცელებული მაღალი რისკის შემცველი „ტრენდული თამაშების“ პრევენციის პროგრამა მოსწავლეებისთვის;
2. კეთილდღეობის ცენტრის (Student Wellbeing Center Handbook) ბაზაზე, სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გაფართოვდეს მოსწავლეთათვის განკუთვნილი საინფორმაციო-პრევენციული აქტივობების თემატიკა ციფრული ტრენდების რისკებისა და უსაფრთხო სოციალური ქცევის მიმართულებით.
3. მიზანშეწონილია მშობლებთან კომუნიკაციის ერთიანი, ინსტიტუციური პროტოკოლის დამატებითი გაძლიერება. ეს უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი კრიზისული შემთხვევის დროს, გარე მხარეებისთვის (მშობლებისთვის) ინფორმაციის მიწოდება ხორციელდებოდეს მხოლოდ შიდა მოკვლევის შედეგად დადასტურებული, ვერიფიცირებული და ობიექტური ფაქტების საფუძველზე, რაც გამორიცხავს ნაადრევი ვერსიების გავრცელებას და დაიცავს საგანმანათლებლო პროცესის მონაწილეთა საუკეთესო ინტერესებს.
4. სკოლაში არსებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა პრაქტიკაში გამოყენებულ იქნას როგორც რეაგირების, ისე პრევენციული მონიტორინგის ეფექტურ ინსტრუმენტად;
5. სკოლის მოქმედი წესები (ბრძანება №1/1/56) შეესაბამება კანონმდებლობას და იძლევა ვიდეო კამერების ნახვის უფლებას უსაფრთხოების მიზნით. თუმცა, სასურველია შიდა ინსტრუქციაში დაკონკრეტდეს ,რომ უსაფრთხოების მენეჯერს აქვს უფლება, რაიმე ინციდენტის ეჭვისას, დაუყოვნებლივ დაათვალიეროს ჩანაწერი, ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული ბრძანებების ლოდინის გარეშე.
6. სასურველია პრევენციული პოლიტიკის განხილვის პროცესში PTA-ს/მშობელთა ასოციაციის წარმომადგენლის სათათბირო ფორმატში ჩართვა.
7. მნიშვნელოვანია, სკოლამ სწორად განსაზღვროს რისკები და დროულად შეიმუშაოს შესაბამისი ღონისძიებები სამომავლოდ, ინციდენტში მონაწილე მოსწავლეთა დასაცავად ფსიქო-ემოციური კუთხით.

დასკვნის პროექტში გაცემული რჩევების საპასუხოდ, სკოლის მხრიდან არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი იქნა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ თითოეული რჩევის ინსტიტუციურ რეალიზებას. კერძოდ: გენერალური დირექტორის 2026 წლის 11 ივნისის №1/1/198 ბრძანებით დამტკიცდა სპეციალური წესი, რომლითაც სასწავლო პროცესში ოფიციალურად ინტეგრირდა სადამრიგებლო საათების 10-გაკვეთილიანი პრევენციული ციკლი და მოზარდთა ციფრული ჰიგიენის შეფასების 6-კრიტერიუმიანი მატრიცა, რაც პირდაპირ მიმართულია „ტრენდული თამაშების“ რისკების პრევენციასა და მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მდგრადობის ამაღლებაზე.
მშობლებთან კომუნიკაციის ერთიანი, ინსტიტუციური სტანდარტის უზრუნველსაყოფად, 2026 წლის 10 ივნისის №1/1/197 ბრძანებით ამოქმედდა „მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის წესი“, რომელიც გამორიცხავს გადაუმოწმებელი ვერსიების გავრცელებას. აღნიშნული დოკუმენტი, შინაგანაწესის მე-12 მუხლის (შიდა და გარე კომუნიკაცია) მოთხოვნებთან ერთად, პერსონალს სავალდებულოდ გაეგზავნა შიდა ელექტრონული სისტემის („SELF“) მეშვეობით, რაც დადასტურებულია ავტორიზებული ელექტრონული ხელმოწერებით.
ვიდეომონიტორინგის პრევენციულ ინსტრუმენტად ქცევისა და ბიულოკრატიული ბარიერების მოხსნის მიზნით, დაინერგა „მოსწავლეთა ზედამხედველობისა და უსაფრთხოების პროტოკოლები“, ხოლო ინფრასტრუქტურულად მოეწყო ვიდეომონიტორინგის ახალი ცენტრალიზებული პუნქტი, სადაც ვაკანსიის საფუძველზე ინიშნება დაცვის სამსახურის ადმინისტრატორი/მოადგილე.
ამასთან, 2026 წლის 29 მაისს სკოლამ უზრუნველყო მშობელთა ასოციაციის (PTA) მასშტაბური ჩართულობა, სადაც მოწვეულ ექსპერტ-ფსიქოლოგთან ერთად ღიად იქნა განხილული სარისკო მედია-კონტენტის პრევენციის სტრატეგიები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივ დონეზე ადასტურებს, რომ სკოლამ სრულად და კომპლექსურად ასახა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რჩევა თავის საოპერაციო და მარეგულირებელ ჩარჩოში.

XI. შესწავლილი გარემოებების ანალიზი და შეფასება

მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტაციის, ინტერვიუების, ვიდეოჩანაწერების აღწერილობისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ შპს „ევროპულ სკოლაში“ ფუნქციონირებს უსაფრთხოების, ბავშვთა დაცვის, მხარდაჭერისა და დისციპლინური რეაგირების ინსტიტუციური მექანიზმები.
სკოლაში მოქმედებს:

- დირექტორის 2022 წლის 10 თებერვლის №1/1/10 ბრძანებით დამტკიცებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი“;

- დირექტორის 2024 წლის 29 ნოემბრის №1/1/337 ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლეთა ქცევის პოლიტიკა“;
- დირექტორის 2025 წლის 25 მარტის №1/1/56 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და ვიდეომონიტორინგის მარეგულირებელი შიდა პროტოკოლები;
- მოსწავლეთა კეთილდღეობის (Wellbeing) ცენტრის სახელმძღვანელო;
- ანტიბულინგური კამპანიები და უკუკავშირის შიდა მექანიზმები.

მომხდარი ინციდენტი არ ატარებს სისტემური ძალადობის ხასიათს, თუმცა გამოავლინა გასაუმჯობესებელი მხარე:

- უსაფრთხოების ადმინისტრირებაში;
- პრევენციულ ზედამხედველობაში;
- არაფორმალური ჯგუფური ქცევის მონიტორინგში;
- ვიდეომონიტორინგის ოპერატიულ გამოყენებაში;
- შიდა კომუნიკაციის პროცესში.

მონიტორინგის პროცესში არ გამოვლენილა ინფორმაციის მიზანმიმართული დამალვის მცდელობა. სკოლა თანამშრომლობაზე იყო ორიენტირებული და ახორციელებდა შემთხვევის შიდა მოკვლევას.
შესწავლილი გარემოებების საფუძველზე იკვეთება, რომ ინციდენტი უფრო უკავშირდებოდა არასრულწლოვანთა შორის განხორციელებულ მაღალი რისკის შემცველ ქცევას/ე.წ. „თამაშს“, რომელმაც გამოიწვია მოსწავლის დაზიანება, ვიდრე წინასწარ ორგანიზებულ ძალადობრივ ქმედებას. თუმცა მსგავსი ქცევა შეიცავს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვან საფრთხეებს და საჭიროებს მკაფიო პრევენციულ რეაგირებას.

XII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს „ევროპულმა სკოლამ“ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ დადგენილ ვადაში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (წერილი №4/11856; 12.06.2026) და მასთან დაკავშირებული მტკიცებულებების ბაზა, რომელიც ასახავს არაგეგმიური მონიტორინგის პროექტში გამოვლენილი მიგნებებისა და რჩევების მყისიერი და კომპლექსური რეალიზების შედეგებს.

ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა წარმოდგენილი მასალები და მიიღო გადაწყვეტილება სკოლის პოზიციის **სრულად გაზიარების** თაობაზე, შემდეგი სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე:

1.მონიტორინგის შემდგომ პერიოდში, სკოლის მენეჯმენტის მიერ გატარდა სისტემური ღონისძიებები, რომლებმაც სრულად აღმოფხვრა გამოვლენილი ხარვეზები და უზრუნველყო უსაფრთხოების მექანიზმების ოპტიმიზაცია:

- ადმინისტრაციული დირექტორის 2026 წლის 14 მაისის №1/2/123 ბრძანებით დამტკიცდა და ოფიციალურად ამოქმედდა „მოსწავლეთა ზედამხედველობისა და უსაფრთხოების პროტოკოლები“. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს პოსტების კონტროლის, შესვენებების პერიოდში ფიზიკური ზედამხედველობის და მასშტაბური სასკოლო პროცესების (მათ შორის, საგამოცდო სესიების) დროს ადამიანური რესურსის იმგვარ გადანაწილებას, რაც სრულად გამორიცხავს შიდა პერიმეტრზე „ბრმა ზონების“ არსებობას. პროტოკოლი ოფიციალური ხელმოწერით გაეცნო დაცვის სამსახურის სრულ შემადგენლობას.
- პრევენციული ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით, სკოლამ ხელშეკრულებების საფუძველზე უკვე აიყვანა დაცვის დამატებითი თანამშრომლები (წარმოდგენილია გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები დ.კ.-სთან — 04.06.2026 და შ.ჯ.-სთან — 25.05.2026). პარალელურად, სისტემური კონტროლისთვის ოფიციალურად გამოცხადდა ვაკანსიები (აქტიურია 2026 წლის 11 ივნისიდან 10 ივლისამდე) „დაცვის სამსახურის ადმინისტრატორის/მოადგილის“ და „დაცვის თანამშრომლის“ პოზიციებზე.
- დაწესებულებამ შექმნა და დანერგა ვიდეომონიტორინგის ორდონიანი კონტროლის სისტემა. ლოკალურ კამპუსებში არსებული მონიტორინგის პუნქტების პარალელურად, წარმოდგენილი არქიტექტურული გეგმებისა და სამგანზომილებიანი რენდერების შესაბამისად, მოეწყო ვიდეომონიტორინგის ცენტრალიზებული პუნქტი (ტურნიკეტების, დაცვის პოსტისა და მონაცემთა ბაზასთან ოპერატიული წვდომის უახლესი სისტემებით), საიდანაც ხორციელდება სტრატეგიული ზედამხედველობა.
- გენერალური დირექტორის 2026 წლის 10 ივნისის №1/1/197 ბრძანებით დამტკიცდა „მოსწავლესთან დაკავშირებულ საკითხებზე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან კომუნიკაციის წესი“, რომელიც შემუშავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (DPO) მიერ. წესი კრძალავს დაუდასტურებელი ვერსიებისა და სუბიექტური ინტერპრეტაციების გავრცელებას. შინაგანაწესის მე-12 მუხლის (შიდა და გარე კომუნიკაცია) პრაქტიკაში აღსრულების მიზნით, სკოლის შიდა ელექტრონული ბაზის („SELF“ სისტემა) მეშვეობით პერსონალს დაეგზავნა სავალდებულო ინსტრუქტაჟი, რომლის გაცნობაც დასტურდება სისტემაში თანამშრომელთა ავტორიზებული ელექტრონული ხელმოწერით (დოკუმენტი №16541, 2026 წლის 8 ივნისი).

2.სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები (სასწავლო მართვის სისტემის — ManageBac-ის ოფიციალური მონაცემები), რომლის მიხედვითაც კეთილდღეობის სამსახურის მიერ 19-დან 27 მაისის პერიოდში, ყველა მიზნობრივ კლასში ჩატარდა სპეციალიზებული Wellbeing გაკვეთილები:

- **მე-9 კლასი (19 მაისი):** „უსაფრთხო სასკოლო საზოგადოების მშენებლობა“ (Building a Safe School Community) — აქცენტით უხეში და სარისკო ფიზიკური თამაშების შედეგებზე და ემპათიის გამომუშავებაზე.
- **მე-7 კლასი (20 მაისი):** „უსაფრთხო არჩევანი და პატივისცემაზე დაფუძნებული თამაში“ (Safe Choices and Respectful Play).
- **მე-8 კლასი (21 მაისი):** „უსაფრთხო ქცევის გააზრება და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილების მიღება“ (Understanding Safe Behaviour and Responsible Decision-Making).
- **მე-6 კლასი (27 მაისი):** „მორალური განვითარება“ (Moral Development) — ეთიკური გადაწყვეტილებების მიღება და საკუთარი ქმედებების შედეგების გააზრება.

ამავდროულად, გენერალური დირექტორის 2026 წლის 11 ივნისის №1/1/198 ბრძანებით დამტკიცდა ფუნდამენტური დოკუმენტი — „შპს ევროპულ სკოლაში ციფრული ტექნოლოგიის გამოყენება და ბავშვის უსაფრთხოების დაცვა ვირტუალურ სივრცეში წესი“. დოკუმენტი მოიცავს მოზარდთა ციფრული წიგნიერებისა და ჰიგიენის შეფასების 6-კრიტერიუმიან მატრიცას, მშობელთა ჩართულობის სტრატეგიულ ჩარჩოს და სადამრიგებლო საათების დეტალურ 10-გაკვეთილიან თემატურ ციკლს, რომელიც მიმართულია სახიფათო ციფრული ტრენდებისა და ე.წ. „ვირუსული თამაშების“ ადრეულ პრევენციაზე.

სკოლამ სრულად უზრუნველყო მშობელთა ასოციაციის (PTA) ჩართულობა: 2026 წლის 29 მაისს გამართულ მასშტაბურ შეხვედრაზე, დირექციამ ღიად განიხილა მომხდარი ინციდენტის გარემოებები, ხოლო მოწვეულმა ექსპერტ-ფსიქოლოგმა მშობლებისთვის წარადგინა მიზნობრივი პრეზენტაცია ციფრული მედია-კონტენტისა და სარისკო თამაშების გავლენის პრევენციის შესახებ.

3.დისციპლინური კომიტეტის №3 და №4 ოქმების (08.05.2026 და 11.05.2026) ანალიზით დადასტურდა, რომ საქმისწარმოება წარიმართა შიდა რეგულაციებისა და კანონმდებლობის სრული დაცვით. კომიტეტმა გამოჰკითხა ინციდენტში მონაწილე ყველა მოსწავლე, რომელთაც სრულად უარყვეს ბულინგის, ჩაგვრის ან მიზანმიმართული ძალადობის ფაქტი და დაადასტურეს, რომ შემთხვევა იყო სპონტანური ინტერნეტ-თამაშის („დერეფანში გარბენა“) დროს მომხდარი შემთხვევითი დაზიანება. ამასთან, არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილ დისციპლინური საბჭოს №3 ოქმში აღნიშნულია: დაზარალებული მოსწავლის კანონიერმა წარმომადგენელმა სატელეფონო საუბრისას ოფიციალურად დააფიქსირა, რომ სკოლის მყისიერი სამედიცინო და ადმინისტრაციული რეაგირების გამო დაწესებულების მიმართ პრეტენზია არ გააჩნია.

მოსწავლეებსა და ოჯახებს შორის ნარჩუნდება მეგობრული ურთიერთობა (რაც მათ შორის ინციდენტის შემდგომ, სულ რაღაც ორ დღეში, ერთ-ერთი მონაწილე მოსწავლის დაბადების დღეზე ერთობლივი ყოფნითაც დადასტურდა).

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი სრულად იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. შესაბამისად, მიიჩნევს, რომ დაწესებულებაში არსებული პრევენციული გარემო, შიდა მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა და უსაფრთხოების ადმინისტრირების მექანიზმები სრულად პასუხობს დასახულ ამოცანებს.

<u>აღნიშნულიდან გამომდინარე, **შპს „ევროპული სკოლა“ აკმაყოფილებს** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს მოსწავლეთა უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის ნაწილში.</u>

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 18.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: